

ახალი საბუნდო მულტიკულტურალიზმისაკენ

„მუსიკა – ყველაზე ძლევაგამოსილი ინსტრუმენტი, ვინაიდან რიტმსა და ჰარმონიას გზის გაკვლევა სულის ყველაზე დაფარულ კუნჭულშიც ძალუძთ.“...

პლატონი, რესპუბლიკა.

მუსიკოსებმა ვიციტ ეს ქეშმარიტება. სხვა მუსიკალური ტრადიციის მიმდევართა მუსიკა კი ჩვენთვის სხვა კულტურაში გამავალი სულის ფანჯარაა. უცხო კულტურის მუსიკის შესრულება ჩვენ გვაძლევს ახალი შინაგანი განცდის ხელსაყრელ შესაძლებლობას.

თუ მუსიკას შეუძლია იყოს ერთგვარი ხიდი კულტურებს შორის, შესაბამისად, შემსრულებლებიც მზად უნდა იყვნენ დატოვონ მათთვის ჩვეული და მოხერხებული გარემო და შეიგრძნონ მუსიკა სრულიად ახალი სახით.

საგუნდო მულტიკულტურალიზმის განხილვისას მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ სიტყვა „კულტურის“ ფესვები მოდის ბერძნული სიტყვიდან „კულტუს“, რაც „რწმენას“ ნიშნავს. კულტურის მუსიკალური გამოხატულებები იმავე კულტურას ნაზიარები რწმენებიდან მომდინარეობს. ამიტომ „მულტიკულტურალიზმი“ მოიცავს მრავალმხრივ რწმენებს, რომელთაგან ზოგი განსხვავებული იქნება იმ რწმენებისგან, რომლებიც ჩვენს თვითმყოფად კულტურაში გაგვაჩინია. მუსიკალურ კონტექსტში, ამ „რწმენებს“ შეუძლიათ მთელი რიგი განსხვავებული ფორმები მიიღონ: რწმენა, რომელიც განაპირობებს კარგ სასიმღერო ტექნიკას, მიგვითითებს ნაწარმოების შესრულების დროსა და ადგილზე, განსაზღვრავს შემსრულებლის შეხედულებას – თუ რას მივიჩნევთ კარგ მუსიკალურ არანჟირებად, მოიცავს საშემსრულებლო პრაქტიკის სხვა გამომსახველ საშუალებებს, ითვალისწინებს ენობრივ თავისებურებებსა და თვით რელიგიურ რწმენებსაც კი.

უცხო კულტურის მუსიკასთან პირისპირ შეხვედრისას რაღაც დროით მაინც უნდა გავთავისუფლდეთ ჩვენი პირადი რწმენებისგან, რათა სრულად შევძლოთ ამ მუსიკისათვის დამახასიათებელი სიღრმისა და სიმდიდრის დაფასება. მომღერლებს კი, სხვა კულტურის მუსიკის სათანადოდ კარგად შესასრულებლად, კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა მართებთ. ჩვენი ვალია გარკვეულ დონემდე გავითავისოთ უცხო კულტურა, რათა სხვა რწმენითი სისტემის სასიმღერო ტექნიკით ზეგავლენა მოვახდინოთ ჩვენს ფსიქიკურ არსებობაზე, ისე, რომ მუსიკალური რეზულტატი შეესაბამებოდეს ორიგინალის ექსპრესიას.

ჩვენი მუსიკალური რწმენითი სისტემის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებს, როგორც უცხოური ჯგუფების მოსმენა, ასევე მათ მიერ „ჩვენი“ მუსიკის ანუ ადგილობრივი კულტურის შესრულება. შესაძლო რეაქციები ადასტურებენ იმას, რომ მხიარულება ან უკმაყოფილება არის მუსიკალური ზემოქმედების შედეგი. ჩვენ ვაფასებთ სხვათა ინტერესს ჩვენი კულტურის მიმართ, მაგრამ უმჯობესია, რომ ეს ინტერესი განპირობებული იყოს მუსიკალური სიღრმეების ნვდომით, რათა მუსიკა არ დამახინჯდეს და არ იქცეს კარიკატურად. შესაძლოა, რეზულტატი ისეთი მწირი და დამამცირებელი აღმოჩნდეს, რომ გვერჩივნოს ნაწარმოები საერთოდ არ შესრულდეს.

მულტიკულტურული საგუნდო მუსიკის სათანადო სიზუსტით, გულწრფელობით, გრძნობით და მხატვრული მთლიანობით შესრულება, რაც ამაღლებს

შემსრულებლისა და მსმენელის კულტურულ წვდომას, დამახასიათებელია იმ გუნდებისათვის, რომლებიც ისწრაფვიან იმდერონ მუსიკა ისე, რომ მათი შესრულება დამაჯერებელი და მისაღები იყოს ადგილობრივი ფოლკლორული მუსიკალური ტრადიციების მიმდევარი პროფესიონალებისათვის. ქვემოთ მოყვანილი მოსაზრებები დამყარებულია ჩემი, როგორც შემსრულებლისა და დირიჟორის გამოცდილებაზე, რამაც აღმიძრა სურვილი შევასრულო აუთენტურად მსოფლიო მუსიკის რაც შეიძლება მეტი ნიმუში. ეს ეხმაურება მულტიკულტურალიზმს და წარმოადგენს აშშ-ში გავრცელებულ მიმდინარეობას.

ქვემოთ მოცემულია 8 მარტივი წესი გუნდებისა და დირიჟორებისათვის, რათა მისდიონ მსოფლიო ტრადიციებს საშემსრულებლო ხელოვნებაში.

1. ძიების უშუალო კავშირი კულტურასთან.

როცა კი შესაძლებელია, სცადეთ დაამყაროთ კონტაქტი თვითნაბად კულტურასთან, რომელსაც შეუძლია მოქცეთ პირველადი ინფორმაცია შესასრულებული ნაწარმოების ენისა და კულტურული კონტექსტის შესახებ. იმ ხალხს, ვინც ამას აკეთებს, მერი გოეთზე „ინფორმანტებს“ უწოდებს. საერთაშორისო ვოკალურ ანსამბლებთან მუშაობისას ინდიანას უნივერსიტეტში ის იყენებდა ვიდეო და DVD ტექნოლოგიას, რათა კულტურულ წყაროში, მიუხედავად დისტანციური ბარიერებისა, ეპოვა სახე, ხმოვანება და მისთვის საჭირო ინფორმაცია. სარეპეტიციო პროცესი არამარტო სრულყოფს გუნდის საშემსრულებლო ოსტატობას, არამედ ავლენს მომღერლის კულტურასა და ადამიანურ თვისებებს.

2. ერთ სტილზე ფოკუსირება დროში.

მულტიკულტურული აუთენტური მუსიკის დირიჟორობას ესაჭიროება დრო და გამოცდილება. ვინაიდან დირიჟორს საკონცერტო დრო განსაზღვრული აქვს. უმჯობესია ფოკუსირება ნაკლები რაოდენობის კულტურებზე. კონცერტზე ერთი ქვეყნის ხუთი ნაწარმოების შესრულება დირიჟორსა და მომღერლებს უფრო ღრმა კულტურული აღქმის შესაძლებლობას აძლევს, ვიდრე თითო ნაწარმოების შესრულება ხუთი სხვადასხვა ქვეყნიდან. ამ პრინციპის თვალსაჩინოებისათვის წარმოიდგინეთ ტურისტის, რომელიც მოგზაურობს ათი დღის მანძილზე ათ სხვადასხვა ქვეყანაში. ჩნდება საშიშროება, რომ მან დაკარგოს რეალურად აღქმის უნარი, იმ ტურისტისგან განსხვავებით, რომელიც აირჩევს ნაკლები რაოდენობის ქვეყნებს და გაატარებს მეტ დროს თითოეულში.

ზოგი ანსამბლი ექსკლუზიურად ერთი ქვეყნისა თუ რეგიონის მუსიკას ასრულებს; სხვები კი თავიანთ ძალებს სინჯავენ სტილების ფართო მრავალფეროვნებაში. აუთენტურიობის მიღწევა უფრო ძნელია იმ გუნდებისათვის, რომელთაც რეპერტუარში სხვადასხვა სტილის მუსიკა აქვთ. თუ ჩვენ, მაგალითად, ერთ ცოცხალ აფრიკულ ნაწარმოებს შევასრულებთ კლასიკური ევროპული მუსიკის კონცერტის ბოლოს, მსმენელი ვერ მიიღებს სრულყოფილ შთაბეჭდილებას აფრიკული მუსიკის თვითმყოფადობის შესახებ.

3. მოსმენის აუცილებლობა.

კლასიკური პარტიტურის სწავლებისას, დირიჟორებს ავარჯიშებენ „სპირალური სწავლების“ ტექნიკაში, რაც გულისხმობს მეტი ცოდნის მიღებას შესასრულებელი ნაწარმოების შესახებ. ამ მიზნით ხდება კომპოზიტორის სტილისა და სხვა კომპოზიტორების ამავე პერიოდის ან ჟანრის მსგავსი ნაწარმოებების შესწავლა. მსოფლიო მუსიკის მომზადებისას დირიჟორები იმავე პრინციპებს მიმართავენ, სხვადასხვა კულტურული ტრადიციისა და სტილის ნაწარმოებზე-

ბის მოსმენა მათ ეხმარება მუსიკის უკეთ წვდომაში. მსოფლიო მუსიკალური ინდუსტრიის განვითარება ამ პროცესს უფრო აადვილებს. მოსმენების გამეორება დირიჟორისთვის აუცილებელია ვოკალური ტექნიკის ნიუანსების, ჟღერადობის ან სხვა ფაქტორების დასაუფლებლად, რომლებიც მოცემული კულტურის ვოკალურ მუსიკას ახასიათებს.

4. მისწრაფება აუთენტიკური პედაგოგიკისა და შესრულებისაკენ

სხვა მუსიკალურ კულტურასთან შეხვედრა აღრმავებს ტრადიციულ პედაგოგიურ გამოცდილებას, ისევე, როგორც ახალი მუსიკალური სტილების შესწავლა. მექანიკურად დაზეპირებული ნაწარმოები მექანიკურად იქნება შესრულებული იმ გუნდების მიერაც, ვინც ფურცლიდან კარგად კითხულობს. გამოცდილება განავითარებს გუნდის სმენით შესაძლებლობებს და მოითხოვს მისგან სწავლის სხვა გზას.

5. მუსიკის კონტექსტი მომღერლებისა და მსმენლისათვის

რეპეტიციების პროცესში შემსრულებლებს მიეწოდებათ მეორადი ინფორმაცია ნაწარმოების შესახებ, ისეთი როგორცაა ვერბალური ტექსტის შინაარსი, ტრადიციული შესრულების გარემოებანი. დღევანდელი საგუნდო გამოცემები უნდა მოიცავდნენ რაც შეიძლება მეტ ასეთ ინფორმაციას. ამასთან, დირიჟორები თავის ძიებებში უფრო უნდა ჩაღრმავდნენ, რათა გაამდიდრონ მუსიკალური კონტექსტის მათმიერი აღქმა. ჩვენი პირველადი ამოცანა მულტიკულტურული მუსიკის შესრულებისას უნდა იყოს მისი ღრმა წვდომა, კულტურის ხასიათიდან გამომდინარე.

6. აუთენტიკურობის ძიება დამუშავებულ წყაროებში

იმ გამოცემებში, რომლებშიც არანაყოფიერება გაკეთებულია ტრადიციული მუსიკის სტილში, დგება აუთენტიკურობის პრობლემა. განსხვავებული შეხედულებები, იმის შესახებ თუ ნაწარმოების რომელი ვერსიაა „აუთენტიკური“. მრავალი საგუნდო არანაყოფიერების არსებობა, რაც „ადასავლურებს“ მუსიკას იმით, რომ აშორებს ორიგინალურ მუსიკალურ კონტექსტს, რათა ის უფრო მისაწვდომი გახადოს, მთელ რიგ სირთულეებს ქმნის. დირიჟორს გზის გაკვლევაში ისევე „სპირალური სწავლების“ პრინციპი ეხმარება. მოცემული ქვეყნის სხვადასხვა წყაროების პარტიტურების გაცნობა, განსხვავებული ჩანაწერების მოსმენა – ეს ყველაფერი ძვირფასი იარაღია დირიჟორის დასახმარებლად არანაყოფიერებულ ნაწარმოებზე მუშაობისას. რა თქმა უნდა მუსიკის უამრავი მნიშვნელოვანი მახასიათებელიდან სანოტო ჩანაწერში ყველაფერი ვერ გადმოვა. შესრულების აუთენტიკურობისათვის დირიჟორს ესაჭიროება სიმაღლის, რიტმისა და ტემპის უფრო ფაქიზი ყურით მოსმენა, იმ ნიუანსების გააზრება, რომელსაც სანოტო ტექსტი სრულად ვერ ასახავს.

7. ენის შესწავლა

ახალი კულტურული ტრადიციების მქონე მუსიკის შესწავლის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ნაწილია უცხო ენაზე სიმღერის შესწავლა. ენა და კულტურა ძალიან მჭიდრო კავშირშია და ჯგუფის წარმატება უცხო ენაზე სიმღერისას დამოკიდებულია როგორც ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების სწორ აღებაზე, ასევე რიტმზე, აქცენტსა და შინაარსზე. თითოეულ ენას გააჩნია ჟღერადობის თვითმყოფადი ხასიათის მუსიკალური კომპონენტი, რომელიც ხშირად ცხადად ჩანს იმ ენაზე შექმნილ კომპოზიციებში. ამის გამო ტრადიციული მუსიკა იმდერება ორიგინალურ ენაზე უკეთ, ვიდრე თარგმანში. ენის შესწავლისათვის

განეული დამატებითი ძალისხმევის შედეგად შესრულება უფრო აუთენტური გახდება და გააღრმავებს მუსიკის კულტურული ფესვების წვდომას.

როცა ეს შესაძლებელია, დირიჟორმა უნდა იპოვოს ენისმცოდნე და დაიხმაროს იგი სასწავლო პროცესში. ფართოდ გავრცელებული ემიგრაცია და კომუნიკაციის ახალი საშუალებები კარგი შანსია დირიჟორისთვის, ხშირად არ იმოგზაუროს მსოფლიოს გარშემო, მისთვის საჭირო ენაზე მოსაუბრე ადამიანის ძიებაში.

8. დირიჟორის მზადყოფნა კომფორტული გარემოს დასატოვებლად

როგორც უკვე ვნახეთ, სხვა კულტურული ტრადიციის მუსიკის შესრულება დირიჟორისგან მეტ მომზადებას მოითხოვს სწავლების და პედაგოგიკის სფეროში. ამასთანავე, ის ხშირად მთლიანად ითხოვს დირიჟორისა და შემსრულებლისგან ახალ გზებზე ფიქრს, ახალ პედაგოგიურ მეთოდებს, ახალ ენებს, ახლებურად მოსმენის უნარს, შესაძლოა, დირიჟორის როლის ახალ მოდელსაც კი. დირიჟორს შეიძლება დასჭირდეს არა ტრადიციული ყესტები, მაგალითები და ხმით შესრულების დემონსტრირება, შემსრულებლისათვის მეტი თავისუფლების მიცემა. დირიჟორი, რომელიც ტოვებს მისთვის კომფორტულ ზონას და კარგად ნაცნობ პედაგოგიურ და სამემსრულებლო მოდელებს, რათა წავიდეს ახალი მიმართულებით, დაჯილდოვდება არა მარტო იმით, რომ შეისწავლის ახალ მუსიკალურ ტრადიციებს, არამედ გამოავლენს ქეშმარიტი მუსიკალური ლიდერისათვის აუცილებელ უნარს, ჩასწვდეს ნაწარმოების არსს.

რამდენიმე მოსაზრება ქართული ტრადიციული პოლიფონიის როლის შესახებ საგუნდო მულტიკულტურალიზმის განვითარებაში.

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებულ გზაჯვარედინებზე საქართველოს ისტორიულმა მდებარეობამ და მისმა პოლიფონიურმა ტრადიციებმა იგი უნიკალურად აქციეს მსოფლიოში. ეს შეიძლება შემეცნებითი მაგალითი იყოს ზემოთ მოხსენებული პრინციპების განსაცხადებლად. მულტიკულტურული საგუნდო მუსიკა დასავლეთში ხშირად აღმოცენებულია მონოფონიური ტრადიციებიდან, რომელიც პოლიფონიურადაა არაჩეირებული გუნდებისათვის. პოლიფონიური ტრადიციების მუსიკის სიმღერა, ისეთი როგორიცაა ქართული, უქმნის უცხოურ გუნდებს ხელსაყრელ პირობას, რათა მისდინ აუთენტურად შესრულებლობაში, რაც შეუძლებელია მონოფონიური ნყარობიდან არაჩეირებული მუსიკის შესრულებისას.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მომღერლებს, რომლებიც სწავლობენ ქართული მუსიკის შესრულებას, შეუძლიათ მიდგომისა და ინფორმაციის ძიება ქართველი მომღერლებისაგან. ქართულ ჯგუფებში სიმღერის ინტერპრეტაციის, ნიუანსებისა და ვარიანტების სწავლისას მრავალფეროვანი ჩანაწერები გამოიყენება. რაც უფრო ფართოდ ხდება ქართული ტრადიციული პოლიფონია ცნობილი, უცხოელ შემსრულებლებს მით მეტი საშუალება ეძლევათ არა მარტო შეისწავლონ ქართული მუსიკა ან მისი კულტურული კონტექსტი, არამედ ჩასწვდნენ თვით ძლიერ თვითმყოფადი და მულტიკულტურული სიმღერის არსსაც.

მსოფლიოს კულტურებს შორის კონტაქტების გაფართოება კიდევ უფრო ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას. სხვათა კულტურების პატივისცემა და წვდომის გაღრმავება ჩვენს მიერ შესრულებულ მუსიკას აქცევს კულტურული ურთიერთგაგების მძლავრ ინსტრუმენტად.